ლიზი მუჯირი

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტი, უნგრეთი

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ როგორც დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტისთვის, საერთაშორისო გარემოში სწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ვგრძნობდი, რომ ეს გამოცდილება უამრავ ახალ უნარს შემმატებდა და ბევრად უკეთ დამანახებდა დიპლომატიას პრაქტიკაში. შესაბამისად, ეს ჩემი დიდი ხნის სურვილის ასრულება იყო.

Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილება იყო ცხოვრებაში, როგორც აკადემიური, ისე პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. ერთი სემესტრი გავატარე უნგრეთში, კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტში, სადაც შესაძლებლობა მომეცა, სწავლა განსხვავებულ აკადემიურ გარემოში გამეგრძელებინა, გავცნობოდი ახალ კულტურას და სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან ერთად გამეტარებინა დრო. მრავალი ეროვნებისა და განსხვავებული გამოცდილების მქონე სტუდენტებთან ერთად მუშაობამ უფრო მეტად დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა, მათი პატივისცემა და საერთო მიზნის მისაღწევად თანამშრომლობა.

უნგრეთშო გატარებულმა დრომ მხოლოდ აკადემიური ცოდნა არ შემმატა. უცხო ქვეყანაში რამდენიმე თვის განმავლობაში დამოუკიდებლად ცხოვრება ჩემთვის მნიშვნელოვანი პიროვნული გამოწვევა იყო. მომიწია ახალ გარემოსთან შეგუება, ყოველდღიური საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა და უცხო კულტურულ და სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია. ამ გამოცდილებამ უფრო თავდაჯერებული, პასუხისმგებლიანი და დამოუკიდებელი გამხადა. ამავდროულად, მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანია კომფორტის ზონის დატოვება და ახალი შესაძლებლობების გამოყენება.

მინდა ვთქვა, რომ ბუდაპეშტი არასდროს დამავიწყდება. მთელი ცხოვრება მემახსოვრება მეთევზეთა ბასტიონიდან დანახული ქალაქი და პარლამენტის კიბეებიდან დუნაის ხედი მზის ჩასვლისას, ისევე როგორც ის ადამიანები, რომელთა გაცნობამაც ჩემი თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა და ხელი შეუწყო ჩემს პიროვნულ ზრდას.